# ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ,, იუნიქ“ (შემდგომში ,,კომპანია''), საიდენტიფიკაციო ნომერი 445547935, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2018 წლის 26 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ,,კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ზუგდიდი, პეტრე უბერის # 9

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჯანდაცვა და სხა საქმიანობები. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი არის ქეთევან წყაროზია (პ/ნ19001052956); ხოლო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი შპს თი ენ თი ჯგუფი.

შპს იუნიქი წარმოადგენს ამბულატორიულ კლინიკას. ასევე 2020 წლის ნოემბრის თვიდან აქტიურად იყო ჩართული ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა ,,სახელმწიფო პროგრამის ,,ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის(COVID 19 )დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის პროგრამაში.

*ცვეთა*

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

„კომპანიის“ მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები- 75-100წ.
მანქანა-დანადგარები - 5-20წ.
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი - 2-15წ.
სატრანსპორტო საშუალებები - 10-15წ.

*სასაქონლო-მატერიალური მარაგები*

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვადებულებები, გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია" თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრას მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით.

*აღიარების შეწყვეტა*

„კომპანია" ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

*ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა*

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას" აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

2023 წელს ორგანიზაციას გააჩნია 61500 ლარის ვალდებულება, რომელიც შედგება მომწოდებლებისგან მიღებული მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო მარაგების ღირებულებისა და სხვა მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებისაგან, რომელიც დაიფარება 2024 წელს.

**საშემოსავლო გადასახადი**

„კომპანია" იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%.

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

**შემოსავლები**

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. „კომპანიის" ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია მხოლოდ გაწეული მომსახურეობიდან მიღებულ შემოსავლებად.

2023 წელს კომპანიის შემოსავალი მომსახურებიდან შეადგენდა 719310 ლარს.

**ხარჯები**

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯებით.

საქართველო. შპს * იუნიქი UNIQUE * GEORGIA. LIMITED COMPANY 445547935

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 451 | 930 | 34064 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 163804 | 337801 | 680465 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახს | 1848850 | 2017586 | 0 |
| მარაგები | 0 | 62155 | 64410 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 62155 | 64410 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების  მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებები | 289986 | 357483 | 267386 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 2303091 | 2775955 | 1046325 |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 61500 | 0 | 0 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 57642 | 26287 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 730455 | 818529 | 220800 |
| სულ ვალდებულებები | 791955 | 876171 | 247087 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატი | 0 | 0 | 0 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 0 | 0 | 147500 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 1511136 | 1899784 | 651738 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 1511136 | 1899784 | 799238 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 2303091 | 2775955 | 1046325 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 400 | 400 | 200 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 719310 | 2060060 |
| საქონლის გაყიდვიდან | 0 | 0 |
| მომსახურების გაწევიდან | 719310 | 2060060 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -287724 | -811101 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 431586 | 1248959 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -564306 | -1284376 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -67497 | -62486 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 0 |
| იჯარის ხარჯი | 0 | 0 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 0 | -197763 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -631803 | -1544625 |
| საოპერაციო მოგება | -200217 | -295666 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 0 | 0 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ | -200217 | -295666 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -200217 | -295666 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფ | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -200217 | -295666 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1899784 | 799238 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კო( | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | -188431 | 1396212 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 1511136 | 1899784 |

## ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნა | 719310 | 2060060 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულად | -719789 | -2093194 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკა | 0 | 0 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | -479 | -33134 |
| ვალუტის  კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | 0 | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 930 | 34064 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 451 | 930 |

საქართველო. შპს
იუნიქი
UNIQUE
445547935
GEORGIA. LIMITED COMPANY